შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2024 წელი

2024 წლის მონაცემებით შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის ბიუჯეტის 58,80% სკოლის პერსონალის სახელფასო ანაზღაურებას ეთმობა (მათ შორის, 562542 ლარი ადმინისტრაციული პერსონალის, ხოლო 1037383 ლარი მასწავლებლების ანაზღაურება). სკოლის პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევის უზრუნველყოფის წლიური ხარჯი შეადგენს 18217 ლარს. ხოლო სკოლის პერსონალისთვის განკუთვნილი ტრენინგებისა და სემინარებისთვის დაიხარჯა 17165 ლარი.

კვების ბლოკის ფუნქციონირებისთვის, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეებისა და თანამშრომლების კვებით უზრუნველყოფას, განკუთვნილმა ხარჯებმა შეადგინა 201256 ლარი.

სასკოლო პროექტების ორგანიზებისთვის დაიხარჯა 25841 ლარი, ხოლო მარკეტინგული აქტივობების ხარჯი იყო 4780 ლარი.

2024 წლის მანძილზე სასკოლო ფორმის ღირებულებამ შეადგინა 94737 ლარი.

სკოლის ინფრასტრუქტურის იჯარისა და სარემონტო სამუშაოებისათვის გაწეული ხარჯები შეადგენს 622129 ლარს, ხოლო კომუნალური განასახადების სახით წლის მანძილზე გადახდილია 137650 ლარი.



2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით სკოლაში ირიცხება 553 მოსწავლე. სკოლის შემოსავლები წარმოდგენილია სწავლის გადასახადისა და სახელმწიფოსაგან მიღებული ვაუჩერული დაფინანსების სახით. სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 62% სარგებლობს სხვადასხვა სახის ფინანსური შეღავათით. გასულ წელთან შედარებით მოსწავლეთა საერთო რაოდენობა გაზრდილია 7%-ით.

მოსწავლეთა კონტინგენტის გათვალისწინებით და 2024 წლის მონაცემებზე დაყრდნობით ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა ფინანსურად მდგრადია.